# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა


განკარგულება:**გ-15. 15232378**

თარიღი:**25/08/2023**


**განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ**

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 141-ე მუხლის 23-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ავარიული შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან მრავალბინიანი, საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობა) ჩანაცვლების მიზნით, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, სათათბირო საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების სახით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განაშენიანების დეტალური გეგმის გარეშე შესაძლებელია განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდა. ამავე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ მუხლის 23-ე პუნქტით გათვალისწინებული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ ღონისძიების შედეგად შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-სა სასარგებლო ფართობის სახით უნდა დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და გამოყენებული უნდა იქნეს სოციალური მიზნით, მათ შორის, ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებისთვის.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა შპს „ინვესტ ჯგუფმა“ (ს/კ 445596141) წინადადებით, რომ სურვილი აქვს ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი ქ.N206-ში N05.35.28.113 მდებარე ავარიული სახლის ჩანაცვლების (დადასტურებულია შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით), მესაკუთრეების დაკმაყოფილების. შესაბამისად, ამ მიზნით ითხოვს შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებას - ქალაქ ბათუმში, ანგისის პირველი შესახვევი N76 - ს/კ N05.32.13.215; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N74 - N05.32.13.254; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N72ა - N05.32.13.148; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N74ა - N05.32.13.054; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N54 - N05.32.13.108; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N58 - N05.32.01.536; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N54 - N05.32.13.476; ანგისის პირველი შესახვევი N60 - N05.32.13.165; ანგისის პირველი შესახვევი 54 - 05.32.13.079; ქალაქი ბათუმი, დასახლება ანგისა - N05.32.13.473 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით კ2 კოეფიციენტის დადგენილი 2,5-დან 17,0-მდე გაზრდას.

პროექტის განხორციელებით მიიღწევა რამდენიმე მიზანი:

ა) მოხდება ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N206-ში ს/N05.35.28.113 მდებარე ავარიული სახლის ჩანაცვლება და მესაკუთრეები დაკმაყოფილება;

ბ) ქალაქ ბათუმში, ანგისის პირველი შესახვევი N76 - ს/კ N05.32.13.215; ქალაქ ბათუმში, ანგისის პირველი შესახვევი N74 - N05.32.13.254; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N72ა - N05.32.13.148; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N74ა - N05.32.13.054; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N54 - N05.32.13.108; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N58 - N05.32.01.536; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N54 - N05.32.13.476; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N60 - N05.32.13.165; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვვეი N54-ში N05.32.13.079; ქალაქი ბათუმი, დასახლება ანგისაში N05.32.13.473-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით კ2 კოეფიციენტის დადგენილი 2,5-დან 17,0-მდე გადამეტება ხდება და სანაცვლოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მშენებლობის ნებართვის აღების პარალელურად საკუთრებაში გადაეცემა შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-სა სასარგებლო ფართობის სახით, რომელიც გამოყენებულ უნდა იყოს სოციალური მიზნით, ავარიული ბარაკული ტიპის საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 141-ე მუხლის 23-ე პუნქტის, ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 25-ე პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ შექმნილი „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე - სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამაში მონაწილეობის მსურველი დეველოპერული კომპანიების წინადადებების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ გადაწყვეტილების, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში შექმნილი სათათბირო საბჭოს გადაწყვეტილებებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს შპს „ინვესტ ჯგუფის“ (ს/კ 445596141) წინადადება და ანგისის პირველი შესახვევი N76 - ს/კ N05.32.13.215; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N74 - N05.32.13.254; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N72ა - N05.32.13.148; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N74ა - N05.32.13.054; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N54 - N05.32.13.108; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N58 - N05.32.01.536; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N54 - N05.32.13.476; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N60 - N05.32.13.165; ქალაქი ბათუმი, ანგისის პირველი შესახვევი N54-ში N05.32.13.079; ქალაქი ბათუმი, დასახლება ანგისაში N05.32.13.473-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით კ2 კოეფიციენტი გაიზარდოს 17,0-მდე; შემდეგი პირობის გათვალისწინებით: საპროექტო მიწის ნაკვეთებს შორის მოქცეული გზა მშენებლობის ნებართვის გაცემამდე გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას საკუთრებაში და სამშენებლო პარამეტრების - კოეფიციენტების გამოანგარიშება მოხდეს საპროექტო გზის გამოკლებით.

2. განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების შედეგად შენობა-ნაგებობის გაზრდილი ფართობის არანაკლებ 10%-სა სასარგებლო ფართობის სახით დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და გამოყენებულ იქნას სოციალური მიზნით, მიმდებარე და სხვა ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებისთვის.

3. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი ღონისძიებები.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი